MAC GEORGIA

დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა

სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელი ხაზი: 1505

ვინ არის პროგრამის მოსარგებლე?

6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, მათ შორის იმ შშმ ბავშვების ოჯახებიც, რომლებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში.

6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე, ასევე ქცევის მნიშვნელოვანი დარღვევით გამოხატული გონებრივი ჩამორჩენის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები,მათ შორის ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში.

6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები, რომლებიც არ განეკუთვნებიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა კატეგორიას და რომელთა ოჯახებიც რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“. ამასთან, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური შეფასებით დადგენილი სარეიტინგო ქულა, დღის ცენტრის მომსახურებაში ბავშვის ჩართვის შესახებ განაცხადების წარდგენის დღისთვის, არ უნდა აღემატებოდეს 100 000-ს.

ანტისოციალური და რთული ქცევის მქონე 12-18 წლის მოზარდები; რომლებიც არიან “მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის'' ბენეფიციარები; რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში; რომელთაც არ აქვთ საშუალო და ღრმა გონებრივი ჩამორჩენა და ფსიქიკური აშლილობა.

6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ის ბავშვები, რომლებიც არიან „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ან „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ბენეფიციარები ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები.

პროგრამაში ჩართვისათვის საჭიროა:

- მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს სახელზე დაწერილი განცხადება, რომლის წარდგენა შეუძლია როგორც პროგრამით სარგებლობის მსურველს, ასევე მის კანონიერ წარმომადგენელს. **განცხადების წარდგენა შესაძლებელია მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს რაიონულ განყოფილებაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;**
- კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობა ან პასპორტი) ასლი, ხოლო მინდობით აღზრდის შემთხვევაში მინდობით აღზრდის ხელშეკრულება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (საპენსიო მოწმობა);
- პირზე გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (სამედიცინო დოკუმენტაცია – ფორმა №IV-100/ა). ფორმა №IV-100/ა-ის აღება რეკომენდებულია პროგრამაში ჩართვამდე **არაუადრეს 30 კალენდარული დღის. თუ მაძიებელი ჩართული იყო პროგრამაში 12 თვის განმავლობაში, მისთვის ფორმა 100-ის აღება აუცილებლობას არ წარმოადგენს.**

შენიშვნა: პროგრამაში ჩარიცხვის შემთხვევაში მეურვეობა-მზრუნველობის ორგანო მოგცემთ პროგრამით სარგებლობისათვის საჭირო ვაუჩერს. ვაუჩერის გამოყენების პირობებსა და სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციას გაგაცნობთ თქვენი სოციალური მუშაკი.

სერვისის მიწოდების სტანდარტები

6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი დღის ცენტრის პროგრამა მოიცავს:

- ყოველდღიურ (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) მომსახურებას 6 საათის განმავლობაში. ამასთან, ბენეფიციარებისათვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები.
- 6 საათამდე მომსახურებისას უნდა მოხდეს ბენეფიციართა უზრუნველყოფა ორჯერადი ჯანსაღი კვებით, ხოლო 3 საათამდე მომსახურებისას ერთჯერადი ჯანსაღი კვებით.
- ასაკის გათვალისწინებით ბენეფიციართა საჭიროებების (შემეცნებითი, ემოციური და ფიზიკური) გამოვლენას და მათ დაკმაყოფილებას;
- ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას;
- საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას;
- ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, ბავშვთა მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ბავშვის მიერ ნებაყოფლობით და უანგაროდ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი დღის ცენტრის პროგრამა მოიცავს:

- ყოველდღიურ (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) მომსახურებას 6 საათის განმავლობაში. ამასთან, ბენეფიციარებისათვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები;
- 6 საათამდე მომსახურებისას უნდა მოხდეს ბენეფიციართა უზრუნველყოფა ორჯერადი ჯანსაღი კვებით, ხოლო 3 საათამდე მომსახურებისას ერთჯერადი ჯანსაღი კვებით.
- ასაკის გათვალისწინებით ბენეფიციართა საჭიროებების (შემეცნებითი, ემოციური და ფიზიკური) გამოვლენას და მათ დაკმაყოფილებას;

- ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას;
- ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას;
- ბენეფიციარების დროის სწორი ორგანიზების, ეფექტური კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების უნარ-ჩვევების სწავლებას;
- საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას.

შშმ პირების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების) შემთხვევაში, დღის ცენტრის მომსახურეობა დამატებით მოიცავს

- იმ დღის ცენტრებში, რომლებშიც შესაძლებელია, ბენეფიციართა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფა (6-დან 10 წლამდე, 10-დან 15 წლამდე, 15-დან 18 წლამდე; 18-დან 45 წლამდე და 45 წლის ზემოთ ასაკის) და მათთვის ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად განსაზღვრული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას;
- დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობას;
- ბენეფიციართა ფუნქციური, აკადემიური უნარების განვითარებას;
- საგანმანათლებლო, განმავითარებელი აქტივობების ხელშეწყობას;
- ფიზიკური გარემოს ადაპტირებასა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვას (მათ შორის ადაპტური ავეჯი/ნივთები);
- ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ორგანიზება;
- მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის გეგმის შედგენა-განხორციელება;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
- მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობის გეგმის შედგენა-განხორციელებას.

- დამოუკიდებელი ცხოვრებისთივს საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზიის განვითარების ხელშეწყობას;
- სოციალური მუშაკის ჩართვის მიზნით, მეურვეობა-მზრუნველობის ტერიტორიული ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდება, იმ შემთხვევის შესახებ, როდესაც ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობა და განვითარება იძლევა საშუალებას მიიღოს განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ჩართული საგანმანათლებლო პროცესში;

შშმ პირთა დღის ცენტრების მომსახურება ასაკობრივი ჯგუფებისთვის დამატებით მოიცავს:
18-დან 45 წლამდე ასაკის შშმ ბენეფიციარებისთვის:

- პიროვნული განვითარების, გარემოსთან ადაპტაციის, სოციალური ინტეგრაციის, წინარე და პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებას.

შშმ პირთა დღის ცენტრების მომსახურება ასაკობრივი ჯგუფებისთვის დამატებით მოიცავს:
45 წელს ზემოთ შშმ ბენეფიციარებისთვის:

- დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების შენარჩუნების პარალელურად, პიროვნული ჰარმონიზაციისა და ცხოვრების ხარისხის უზრუნველყოფას.

18 წლისა და მეტი ასაკის ფსიქიკური პრობლემების მქონე ბენეფიციარებისთვის, დღის ცენტრი დამატებით მოიცავს:

- ბენეფიციარის ფსიქოსოციალური ფუნქციონირების ამაღლების ხელშეწყობას;
- ინტელექტუალური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა;
- ინდივიდუალურსა და ჯგუფურ თერაპიას;
- ფსიქიკური დარღვევების პრევენციასა და მართვას.

მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურება დამატებით მოიცავს:

- ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში მომსახურებას;
- ბენეფიციარის ფსიქო-მოტორული განვითარებისა და სოციალური უნარების შეფასებას სპეციალური მეთოდოლოგიით, რომელიც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტსა და ბავშვთან მუშაობის გზამკვლევს;
- თვითმომსახურების უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარება;
- ბავშვის ვერბალური/ალტერნატიული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობას;
- ბენეფიციარის დახმარებას კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;
- ბენეფიციართა ქცევითი დარღვევების შეფასებასა და ქცევის მართვის სპეციალიზებული გეგმის შემუშავებას და განხორციელებას.
- ბავშვის ქცევის სწორად მართვის მიზნით მშობლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებას (რთული ქცევის მართვის პროგრამაში მონაწილეობენ დღის ცენტრის თანამშრომლები, მშობლები, ბენეფიციარის განვითარების პროცესში ჩართული სხვა პირები. რთული ქცევის მართვის პროგრამა დგება ქცევის გამოვლენიდან 30 დღეში, პროგრამის გადასინჯვა ხორციელდება 3 თვეში ერთხელ.
- **6-დან 15 წლამდე მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების შემთხვევაში - განვითარების სტიმულირებასა და ფუნქციურ-აკადემიური უნარების განვითარებას;**
- **15-დან 18 წლამდე ბენეფიციართა მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბენეფიციარებისთვის აქცენტი კეთდება დამოუკიდებლად ცხოვრებისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე.**

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციართათვის მომსახურების მიწოდება ხორციელდება დისტანციურად, მომსახურების მიწოდების სრულად აღდგენამდე მომსახურების დისტანციურად მიმღებ ბენეფიციარებზე გაიცემა კვების მატერიალიზებული ვაუჩერი, ერთი თვის ვაუჩერის ღირებულება 80 ლარი.

ანტისოციალური და რთული ქცევის მქონე 12-18 წლის მოზარდების მომსახურების მიმწოდებელად დარეგისტრირებული დღის ცენტრის მომსახურება მოიცავს:

- კვირაში 3-ჯერ (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა),3 საათიანი მომსახურება;
- სასიცოცხლო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- სოციალური უნარების გაძლიერების მხარდაჭერა;
- არასრულწლოვნისა და ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალურ-ეკონომიკურ შეფასება;
- არასრულწლოვნის მაკრო და მიკრო სოციალური გარემოს ანალიზს, ინტერვენციას, სოციალურ-საგანმანათლებლო მხარდაჭერა და ზრუნვა;
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერასა და ზრუნვას, საჭიროებებზე ორიენტირებულ კონსულტაციებს;
- არასრულწლოვანის ქცევითი დარღვევების შეფასება და მართვა;
- სოციალური პედაგოგის, ფსიქოკონსულტანტის ან ფსიქოთერაპევტის მომსახურება;
- სხვადასხვა სახის ხელოვნებითი და/ან შრომითი თერაპია;
- საჭიროების შესაბამისად მოწვეული სპეციალისტების (ფსიქიატრი,ნაკროლოგი,სექსოლოგი და სხვა) მომსახურება.

რეგისტრაციის დიაგრამა

IV-100/ა

სამედიცინო ფორმა 100-ის მისაღებად მიმართეთ უბნის პედიატრს, რომელიც გადაგამისამართებთ ექიმ-ექსპერტთან. პროცედურის დაცვისა და შესაბამისი სადაზღვეო პაკეტის გათვალისწინებით სამედიცინო ფორმის აღება რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს უფასო.

IV-50/4

საპენსიო მოწმობას, **სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ,** გასცემს სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებები. უახლოესი სამედიცინო დაწესებულების მისამართის გასაგებად დარეკეთ ბავშვთა დახმარების უფასო ცხელ ხაზზე - 111

ვაუჩერი

ჩამოთვლილი ფორმების დამზადების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად, მიმართეთ **სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს** +(995 32) 2 39 53 11. განცხადება ვაუჩერის მოთხოვნის შესახებ იწერება ადგილზე.

ხშირად დასმული კითხვები:

1.როგორ ვიპოვო დღის ცენტრები ჩემს რეგიონში?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

2.თუ პედიატრმა არ გადაამისამართა ჩემი შვილი ექიმ-ექსპერტთან, რაც ვთვლი რომ აუცილებელი იყო, ვის შეიძლება დავუკავშირდე?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111

3.რომელ სამედიცინო დაწესებულებას უნდა მივაკითხო ჩემს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მიღების მიზნით?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
ონლაინპლატფორმა: **www.sheaghe.ge**
ცხელი ხაზი: 0 800 900 902

4.ვის მივმართო თუ შემიწყდა დღის ცენტრის მომსახურეობა?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

5.ვის მივმართო თუკი ვიცი რომ ოჯახური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემი შვილი ვერ ისარგებლებს დღის ცენტრის ვაუჩერით გადაბმულად 2 თვის მანძილზე?

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11

6.ვის შეიძლება მივმართო თუ დღის ცენტრი უარს აცხადებს ჩემი შვილის მიღებაზე, ან დღის ცენტრში დაირღვა ჩემი შვილის უფლებები?

ბავშვთა დახმარების უფასო ცხელი ხაზი - 111
სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო: +(995 32) 2 39 53 11
საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი: 14 81

შენიშვნა: არსებობს რამდენიმე მუნიციპალური დაფინანსების ქვეშ მყოფი დღის ცენტრები. დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს.

MAC GEORGIA

ააიპ „მაკ“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2008 წელს დაარსდა. ორგანიზაციის მიზანია, დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მოზარდებსა და მათ ოჯახებს.

კავსაძის ქ. 3, თბილისი 0179
+995 32 197 378
უფასო ცხელი ხაზი: 0 801 200 202